

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №622

2016 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.09.2013, 430030000.10.003.017410) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების:

1. პირველი მუხლით დამტკიცებული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“:

ა) მე-6 და 6¹ მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. ვაუჩერული დაფინანსების გაცემის მიზანი და პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება

1. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ხარჯებისათვის, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებისა და დანამატის გაცემის წესი და პირობები მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 6¹. მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაცემის მიზანი

1. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა სასწავლო მასალის შექმნისათვის, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ასანაზღაურებლად და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის.

2. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებს უფლება აქვთ, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსებიდან წარმოქმნილი ეკონომიიდან მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების არა უმეტეს 15%-ისა მიმართონ სხვა მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული



3. პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებისა და დანამატის გაცემის წესი და პირობები მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით.“;

ბ) 8¹ მუხლის პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება ამტკიცებს მოდულებისგან შემდგარი იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურს, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში. ამ მიზნით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება:

ა) ახორციელებს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენლობაში არსებული მოდულების სწავლის შედეგების დაყოფას ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში და რეალურ სამუშაო გარემოში მისაღწევ სწავლის შედეგებად, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში;

ბ) ამ დადგენილების დანართი №3-ით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, ადგენს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი იმ მოდულების საფასურს, რომელთა ერთი სწავლის შედეგი მაინც მიიღწევა ამ დაწესებულებაში;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოდულის საფასურიდან გამოიანგარიშებს ამ მოდულის ფარგლებში დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის შედეგების ღირებულებას, თითოეული სწავლის შედეგისთვის მინიჭებული კრედიტების პროპორციულად, შემდეგი პრინციპით: ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის შედეგის კრედიტი შეეფარდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის მთლიან კრედიტს და მრავლდება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის საფასურზე;

დ) განსაზღვრავს/ამტკიცებს იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფასურს, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაანგარიშებული მხოლოდ ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის შედეგების ღირებულების ჯამით.“;

გ) 9¹ მუხლის:

გ.ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის დაფინანსება, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ხორციელდება შემდეგი პრინციპით: ერთი მოდულის ფარგლებში ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებაში მისაღწევი სწავლის შედეგების ღირებულების ჯამური ოდენობა გამრავლებული იმ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობაზე, რომლებიც სწავლობენ აღნიშნული მოდულით და გამრავლებული ამ რაოდენობის შესაბამის კოეფიციენტზე. დაანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება ამ წესის 8¹ მუხლითა და ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი კოეფიციენტები.“;

გ.ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, ამ წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება) გათვალისწინებულ დაწესებულებაზე გაიცემა ამ მუხლით დადგენილი წესით გაანგარიშებული მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი



მოდულის ვაუჩერის დაფინანსების ოდენობის 1,2 კოეფიციენტზე გადამრავლებით მიღებული ოდენობის თანხა.“;

დ) 9² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9². ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა

1. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე ამ წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გასაცემი ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა იანგარიშება ამ წესის მე-9 და 9¹ მუხლებით გაანგარიშებული ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის 1.25 კოეფიციენტზე გადამრავლებით.

2. ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებებისათვის ერთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლების ხელშეწყობისათვის ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობა იანგარიშება ამ წესის მე-9 და 9¹ მუხლებით გაანგარიშებულ ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების კვარტალურ ოდენობას დამატებული 1000.0 ლარი.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ წესის მე-9 და 9¹ მუხლებით გაანგარიშებული ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება არ არის საკმარისი ამ წესის მე-6 და 6¹ მუხლებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ სამინისტროში წარდგენილი დასაბუთებული მიმართვის (თანდართული ხარჯთაღრიცხვით) საფუძველზე, სამინისტრო უფლებამოსილია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიიღოს გადაწყვეტილება ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ოდენობის გაზრდაზე.“;

ე) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. ვაუჩერული დაფინანსების გადატანა

1. პროფესიული სტუდენტის, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის შემთხვევაში (ამ მუხლის მიზნებისათვის შემდგომში – მობილობა), მიმღებ დაწესებულებას ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა მხოლოდ პროფესიული სტუდენტის მიერ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე.

2. პროფესიული სტუდენტის, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომელზეც ჩარიცხული ვაუჩერული დაფინანსების უფლების მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია ხუთზე, სხვა დაწესებულებაში მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა.

3. პროფესიული სტუდენტის, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ამავე დაწესებულებაში სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (ამ მუხლის მიზნებისათვის შემდგომში – შიდა მობილობა) შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება არ მიეცემა, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით



გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. პროფესიული სტუდენტის ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან, რომელზეც ჩარიცხული ვაუჩერული დაფინანსების უფლების მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ნაკლებია ხუთზე, ამავე დაწესებულებაში მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება მიეცემა.

5. მობილობის/შიდა მობილობის განმახორციელებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება ვაუჩერულ დაფინანსებას მიიღებს პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების მომდევნო კვარტლიდან.

6. მობილობის/შიდა მობილობის განმახორციელებელი პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულება ვაუჩერულ/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერულ დაფინანსებას მიიღებს პროფესიული სტუდენტის მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების კვარტლიდან, იმ შემთხვევაში, თუ მობილობა/შიდა მობილობა განხორციელდება ამ წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თარიღამდე.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მობილობის განხორციელების შემთხვევაში, მიიღებს ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას, ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, დაფინანსება მიეცემა მის მიერ განსაზღვრული სწავლის საფასურის შესაბამისად, ამ დადგენილების დანართი №2-ით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საფეხურისათვის განკუთვნილი სწავლის საფასურის მაქსიმალური ღირებულებიდან დარჩენილი გაუხარჯავი ოდენობით.

8. ამ მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მობილობის/შიდა მობილობის განხორციელების შემთხვევაში, ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას, ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის რაოდენობის გათვალისწინებით, დაფინანსება მიეცემა:

ა) მის მიერ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობით, რომელზეც გადადის პროფესიული სტუდენტი;

ბ) მის მიერ იმ მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული სწავლის საფასურის ოდენობით, რომელზეც გადადის პროფესიული სტუდენტი.

9. ამ მუხლის მიზნებისათვის მობილობის/შიდა მობილობის განხორციელებისას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების იგივეობა დგინდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით გათვალისწინებული პროფესიული სპეციალიზაციების შესაბამისად.“;

გ) მე-13 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ მუხლი:

„მუხლი 13¹. მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების გადატანა

1. პროფესიული სტუდენტის ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი დაწესებულების მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა დაწესებულებაში მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – მობილობა) შემთხვევაში, მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებას მიეცემა მხოლოდ იმ მოდულებისგან შემდგარ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, რომელზეც სწავლობდა იგი მობილობის განხორციელებამდე.



სპეციალიზაციების შესაბამისად.“;

ზ) მე-15 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები (გარდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა).“;

თ) მე-16 – მე-18 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. პროგრამული დაფინანსების გაცემის მიზნები და საფუძველი

1. პროგრამული დაფინანსება გაიცემა ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებზე, შემდეგი მიზნებისათვის:

ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასასაქმებელი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისათვის;

ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებისათვის;

გ) სხვა მიმდინარე ხარჯებისათვის.

2. შესაბამისი წლის პროგრამული დაფინანსების გაცემის საფუძველს წარმოადგენს ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ წინა წლის დასრულებამდე სამინისტროში წარდგენილი დასაბუთებული მიმართვა (თანდართული კვარტალური ხარჯთაღრიცხვით).

3. შესაბამისი წლის პროგრამულ დაფინანსებაში ცვლილების (დაფინანსების გაზრდის ან/და შემცირების) საფუძველს წარმოადგენს ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულების მიერ შესაბამისი წლის განმავლობაში სამინისტროში წარდგენილი დასაბუთებული მიმართვა (თანდართული ხარჯთაღრიცხვით).

მუხლი 17. პროგრამული დაფინანსების გაცემის წესი

1. პროგრამული დაფინანსების გაცემის მიზნით, ამ წესის მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ მიმართვას (თანდართულ ხარჯთაღრიცხვას), სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტთან ერთად, განიხილავს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი.

2. ეკონომიკური დეპარტამენტი, ამ წესის მე-16 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მიმართვის (თანდართული ხარჯთაღრიცხვის) შესწავლის შემდგომ, უფლებამოსილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარუდგინოს რეკომენდაცია ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისათვის პროგრამული დაფინანსების:

ა) მის მიერ მოთხოვნილი ოდენობით გამოყოფის თაობაზე;

ბ) მის მიერ მოთხოვნილი ოდენობისაგან განსხვავებული ოდენობით გამოყოფის თაობაზე;

გ) გამოყოფაზე უარის თქმის თაობაზე.

3. მინისტრი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას ამ წესის მე-15 მუხლით გათვალისწინებული დაწესებულებისათვის პროგრამული დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

მუხლი 18. მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი დაწესებულებები



მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი არიან:

ა) სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული:

ა.ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ა.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.“;

ი) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-2 მუხლით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა (დანართი №2) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების №1 დანართის შესაბამისად.

3. 2¹ მუხლით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა (დანართი №3) ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების №2 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე:

ა) ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 9² მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ) ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტით წარმოდგენილი 9¹ მუხლის მე-4 პუნქტი და ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოქმედდეს 2016 წლის 21 ნოემბრიდან.

მუხლი 4

ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 9² მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

დანართი №1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ

საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა

მუხლი 1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის პროფესიულ სპეციალიზაციაზე I-III საფეხურებისათვის განისაზღვროს შემდეგნაირად:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა/პროფესიული სპეციალიზაცია	საფეხური	სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა
1	ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.)	I	400
2	მეხილე	II	
3	ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.)	II	
4	მეზოსტნე	II	
5	თევზგადამამუშავებელი	III	
6	თევზის მრეწავი	III	
7	ზოოტექნიკოსი (მეცხენეობა, მეცხვარეობა, მეზოცვრეობა, მეფრინველეობა და ა.შ.)	III	
8	მეზოსტნე	III	
9	მეხილე	III	
10	მძერწავი (არქიტექტურული დეტალების)	III	
11	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	III	
12	საკერავი მანქანების ოპერატორი	III	
13	კორესპონდენტი	III	
14	ბუღალტერი	III	
15	სანერგე მეურნეობის სპეციალისტი	II	
16	საკერავი მანქანების მექანიკოსი	III	
17	აშწის მემანქანე	III	
18	ავტომობილის დიაგნოსტიკოსი	II	
19	სანერგე მეურნეობის სპეციალისტი	III	
20	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	III	
21	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი	III	
22	ტოპოგრაფი	III	
23	თექის ხელოსანი	III	



24	ღონისძიებათა მომწყობი	III
25	ინფორმაციული ტექნოლოგი	III
26	მევენახე	III
27	მასაჟისტი	III
28	კომპიუტერული ინჟინერი	III
29	ავტომობილის შემკეთებელი ელექტრო-ტექნიკოსი	III
30	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	III
31	გამყიდველ-კონსულტანტი	III
32	რძის გადამამუშავებელი	III
33	სამკერვალო ნაწარმის ხარისხის მართვის სპეციალისტი	III
34	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი	III
35	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე,მებეტონე)	III
36	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	III
37	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	III
38	ქიმიური და კვებითი მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი	III
39	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	III
40	ამწე - სატრანსპორტო მანქანებისა და ლიფტების ტექნიკოს	III
41	ნივთიერებებისა და მასალების ქიმიური ანალიზის ლაბორანტი	III
42	კალატოზი	III
43	კომპიუტერული გრაფიკოსი	III
44	სარესტორნო საქმისმწარმოებელი	III
45	მეზათქაშე	III
46	თაბაშირმუყაოს სპეციალისტი	III
47	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო - სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების, ფრინველებისა და	III



	თევზების და სხვა)	
48	მღებავი	III
49	საბაჟო წარმომადგენელი	III
50	მოლარე (ბანკის და ა.შ)	III
51	ზეინკალ - სანტექნიკოსი	III
52	საბაჟო დეკლარირების სპეციალისტი	II
53	ტრაქტორისტი - მემანქანე	III
54	მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული)	III
55	მეტყვე (ტყისმჭრელი, ტაქსატორი)	III
56	მეთუნუქე-მღებავი	III
57	სტილისტი (ქალი, მამაკაცი)	III
58	ელექტრიკოსი	III
59	იუველირი	III
60	მიმღები - რეცეფციონისტი	III
61	მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) ოპერატორი	III
62	მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰიდრომელიორატორი)	III
63	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	III
64	სამშენებლო-საგზაო-სალიანდაგო მანქანებისა და მოწყობილობების ტექნიკოსი	III
65	მცენარეთა დაცვის ტექნიკოსი	III
66	ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის მემონტაჟე	III
67	ელექტროამრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	III
68	მემცენარე	III
69	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური	III
70	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი	III
71	ელექტრონული და ციფრული ხელსაწყოების დიაგნოსტიკოს – შემკეთებელი	III



72	ძრავის შემკეთებელი	III	
73	მეფილე – მომპირკეთებელი	III	
74	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	III	
75	ტუროპერატორი (აგრო-, ეკო-, და ა.შ. ტუროპერატორი)	III	950
76	გაზმომარაგების სისტემის მემონტაჟე	III	
77	ავტომობილის ზეინკალი	III	
78	სასტუმრო საქმისმწარმოებელი	III	
79	კბილის ტექნიკოსი	III	
80	დეკორატიულ - გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	III	
81	მელვინე	III	
82	ნავთობისა და გაზის გადამუშავების სპეციალისტი	III	
83	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	III	
84	მხატვარ-შემსრულებელი	III	
85	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი	III	1,000.00
86	სამთო ტექნიკის ექსპლუატაციისა და რემონტის უსაფრთხოების სპეციალისტი	III	
87	გიდი (გეოტურიზმის და ა.შ.)	III	
88	გვირაბგამყვანი	III	
89	გარემოს დაცვის ტექნიკოსი	III	
90	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	III	
91	ყველის მწარმოებელი	III	
92	ელმავლის მემანქანე	III	
93	ექონის თანაშემწე	III	
94	სამთო ელექტრომექანიკოსი	III	
95	სამთო ტექნიკოსი	III	



96	დურგალი	III	1,150.00
97	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	III	
98	ბარმენი	III	
99	კომპიუტერული გრაფიკოს-ანიმატორი	III	
100	ვებსპეციალისტი	III	
101	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	III	
102	შემდუღებელი	III	
103	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრატორი	III	
104	ხილ - ბოსტნეულის გადამამუშავებელი	III	
105	ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და აქსესუარების სპეციალისტი	III	
106	სომელიე	III	
107	მეფუტკრე	III	
108	მემინანქრე	III	
109	პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკოსი	III	
110	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	III	1,400.00
111	მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი	III	
112	სარკინიგზო გადამზიდავი	III	1,500.00
113	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი	III	
114	მოცეკვავე	III	1,700.00
115	მზარეული	II	
116	მზარეული	III	1,900.00
117	რკინიგზის ელექტრომომრავი შემადგენლობის მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	
118	მელიანდაგე	III	
119	სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი	III	
120	სავაგონო მეურნეობის მექანიკოსი	III	



			2,250.00
121	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის ელექტრომექანიკოსი	III	
122	კონდიტერი	III	
123	მევენახე-მეღვინე	III	
124	საფეხმავლო-გამყოლი	III	

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის საფასურის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

N	მოდულების დასახელება	მოდულის კოდი	მოდულის ტიპი	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულების საფასურის მაქსიმალური ოდენობა
1	რაოდენობრივი წიგნიერება	0020101	ზოგადი სავალდებულო მოდული	29.00
2	რაოდენობრივი წიგნიერება	0020102	ზოგადი სავალდებულო მოდული	33.00
3	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	0030101	ზოგადი სავალდებულო მოდული	20.00
4	კომუნიკაცია	0030102	ზოგადი სავალდებულო მოდული	31.00
5	კომუნიკაცია	0030103	ზოგადი სავალდებულო მოდული	50.00
6	პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები	0030105	ზოგადი სავალდებულო მოდული	13.70



7	ქართული ენა A2	0110001	ზოგადი პროფესიული მოდული	269.00
8	ქართული ენა B1	0110002	ზოგადი პროფესიული მოდული	271.00
9	სამოქალაქო განათლება	0110003	ზოგადი პროფესიული მოდული	32.00
10	სამოქალაქო განათლება	0110004	ზოგადი პროფესიული მოდული	
11	გაცნობითი პრაქტიკა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	0110101	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
12	საწარმოო პრაქტიკა - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	0110102	სავალდებულო პროფესიული მოდული	93.00
13	პრაქტიკული პროექტი - ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	0110103	სავალდებულო პროფესიული მოდული	26.00
14	ადრეული განვითარების თავისებურებები	0110104	სავალდებულო პროფესიული მოდული	56.00
15	ადრეული განათლების კურიკულუმი	0110105	სავალდებულო პროფესიული მოდული	64.00
16	ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა	0110106	სავალდებულო პროფესიული მოდული	75.00
17	სააღმზრდელო გარემო	0110107	სავალდებულო პროფესიული მოდული	85.00
18	სააღმზრდელო პროცესი	0110108	სავალდებულო პროფესიული მოდული	75.00
19	სწავლების შინაარსი: კომუნიკაცია, მეტყველება, წიგნიერება	0110109	სავალდებულო პროფესიული მოდული	72.00
20	სწავლების შინაარსი: მეცნიერება და მათემატიკა	0110110	სავალდებულო პროფესიული მოდული	64.00
	სწავლების შინაარსი: სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება		სავალდებულო	



21	და ფიზიკური აქტივობები	0110111	პროფესიული მოდული	171.00
22	დაკვირვება და შეფასება	0110112	სავალდებულო პროფესიული მოდული	60.00
23	განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თვისებურებები	0110113	სავალდებულო პროფესიული მოდული	68.00
24	ოჯახი, თემი და სააღმზრდელო დაწესებულება	0110114	სავალდებულო პროფესიული მოდული	63.00
25	ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	0110115	სავალდებულო პროფესიული მოდული	63.00
26	პროფესიული ეთიკა	0110116	სავალდებულო პროფესიული მოდული	40.00
27	ხატვა	0110117	არჩევითი პროფესიული მოდული	148.00
28	ძერწვა	0110118	არჩევითი პროფესიული მოდული	89.00
29	ორიგამი, კირიგამი და აპლიკაცია	0110119	არჩევითი პროფესიული მოდული	237.00
30	გაცნობითი პრაქტიკა - დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	0210101	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
31	საწარმოო პრაქტიკა დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	0210102	სავალდებულო პროფესიული მოდული	186.00
32	პრაქტიკული პროექტი დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტისთვის - ბატიკის, გობელენის, თექის დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების შექმნა კომპოზიციის მირითადი პრინციპების დაცვით	0210103	სავალდებულო პროფესიული მოდული	287.00
33	ფანქრით და წყლის საღებავებით ხატვა	0210104	სავალდებულო პროფესიული მოდული	146.00
34	ბატიკი - ქსოვილის მხატვრული მოხატვა	0210105	სავალდებულო პროფესიული მოდული	490.00
35	თექის მხატვრული დამუშავება	0210106	სავალდებულო პროფესიული მოდული	412.00



36	ფარდაგის ქსოვა	0210107	სავალდებულო პროფესიული მოდული	298.00
37	ხალიჩის ქსოვა	0210108	სავალდებულო პროფესიული მოდული	425.00
38	გობელენის ქსოვა	0210109	სავალდებულო პროფესიული მოდული	208.00
39	ქვილი - ნაკეთობის მხატვრული დამუშავება (დაგვირისტება)	0210110	სავალდებულო პროფესიული მოდული	816.00
40	ქსოვილის მხატვრული დეზა - შიბორი	0210111	სავალდებულო პროფესიული მოდული	214.00
41	ქსოვილის დაჩითვა	0210112	სავალდებულო პროფესიული მოდული	353.00
42	დეკორატიული აბრეშუმის ქაღალდის დამზადება	0210113	არჩევითი პროფესიული მოდული	599.00
43	ტრიკოტაჟული ქსოვილის შექმნა	0210114	არჩევითი პროფესიული მოდული	591.00
44	დეკორატიული ქსოვილების (ხალიჩა, ფარდაგი, გობელენი) რესტავრაცია	0210115	არჩევითი პროფესიული მოდული	189.00
45	კომპოზიციის ძირითადი პრინციპები	0210116	არჩევითი პროფესიული მოდული	155.00
46	გაცნობითი პრაქტიკა - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	0210201	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
47	საწარმოო პრაქტიკა - ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	0210202	სავალდებულო პროფესიული მოდული	186.00
48	პრაქტიკული პროექტი ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტისთვის-ესკიზის მიხედვით ტანსაცმლის კოლექციის შესრულება მასალაში	0210203	სავალდებულო პროფესიული მოდული	258.00
49	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირებისა და ტექნოლოგიური დამუშავების უსაფრთხოების წესების დაცვა	0210204	სავალდებულო პროფესიული მოდული	40.00



50	ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა	0210205	სავალდებულო პროფესიული მოდული	193.00
51	სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება	0210206	სავალდებულო პროფესიული მოდული	71.00
52	ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება	0210207	სავალდებულო პროფესიული მოდული	156.00
53	მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება	0210208	სავალდებულო პროფესიული მოდული	155.00
54	ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუირება	0210209	სავალდებულო პროფესიული მოდული	150.00
55	ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება	0210210	სავალდებულო პროფესიული მოდული	194.00
56	ტანსაცმლის ტექნოლოგიური დამუშავების საწყისები	0210211	სავალდებულო პროფესიული მოდული	210.00
57	ტანსაცმლის დამუშავების ზოგადი ტექნოლოგია	0210212	სავალდებულო პროფესიული მოდული	284.00
58	ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	0210213	სავალდებულო პროფესიული მოდული	604.00
59	მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	0210214	სავალდებულო პროფესიული მოდული	590.00
60	ბავშვის ტანსაცმლის მასალაში შესრულება	0210215	სავალდებულო პროფესიული მოდული	413.00
61	ტანსაცმლის დეკორატიული გაფორმება	0210216	არჩევითი პროფესიული მოდული	280.00
62	ფარდისა და საწოლის თეთრეულის მხატვრული მოდელირება	0210217	არჩევითი პროფესიული მოდული	773.00
63	გაცნობითი პრაქტიკა - ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	0210301	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
64	საწარმოო პრაქტიკა - ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი	0210302	სავალდებულო პროფესიული მოდული	186.00



65	პრაქტიკული პროექტი ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალისტისთვის- ესკიზის მიხედვით ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარის შესრულება მასალაში	0210303	სავალდებულო პროფესიული მოდული	439.00
66	უსაფრთხოების წესების დაცვა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების წარმოებისას	0210304	სავალდებულო პროფესიული მოდული	47.00
67	ფეხსაცმლისა და აქსესუარების კომპოზიციის შექმნა	0210305	სავალდებულო პროფესიული მოდული	133.00
68	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების მასალების შერჩევა და გამოჭრა	0210306	სავალდებულო პროფესიული მოდული	215.00
69	ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწადის მოდელირება/კონსტრუირება	0210307	სავალდებულო პროფესიული მოდული	193.00
70	ჩექმისა და წადის მოდელირება/კონსტრუირება	0210308	სავალდებულო პროფესიული მოდული	186.00
71	ტყავის აქსესუარების მოდელირება/კონსტრუირება	0210309	სავალდებულო პროფესიული მოდული	209.00
72	ფეხსაცმლის დამზადების ტექნოლოგია	0210310	სავალდებულო პროფესიული მოდული	423.00
73	ფეხსაცმლის ნამზადის კერვის ტექნოლოგია	0210311	სავალდებულო პროფესიული მოდული	307.00
74	ტყავის აქსესუარების ტექნოლოგია	0210312	სავალდებულო პროფესიული მოდული	444.00
75	ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებების ხარისხის კონტროლი	0210313	არჩევითი პროფესიული მოდული	110.00
76	ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების შეკეთება	0210314	არჩევითი პროფესიული მოდული	519.00
77	გაცნობითი პრაქტიკა - თექის ოსტატი	0210401	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
78	საწარმოო პრაქტიკა - თექის ოსტატი	0210402	სავალდებულო პროფესიული მოდული	117.00
	პრაქტიკული პროექტი თექის ოსტატისთვის - მატყლის		სავალდებულო	



79	მომზადება, თელვა, ესკიზის მიხედვით თექის ნაკეთობის დამზადება	0210403	პროფესიული მოდული	77.00
80	სამუშაოს ორგანიზება - თექის ოსტატისთვის	0210404	სავალდებულო პროფესიული მოდული	210.00
81	მატყლის მომზადება	0210405	სავალდებულო პროფესიული მოდული	336.00
82	ესკიზის შექმნა	0210406	სავალდებულო პროფესიული მოდული	111.00
83	მატყლის თელვა სიბრტყეზე	0210407	სავალდებულო პროფესიული მოდული	305.00
84	მატყლის თელვა მოცულობით ფორმებზე	0210408	სავალდებულო პროფესიული მოდული	307.00
85	შრომის უსაფრთხოების დაცვა თექის წარმოებისას	0210409	სავალდებულო პროფესიული მოდული	40.00
86	ბუნებრივი საღებავებით ღებვა - ქართული ტრადიციული მეთოდით	0210410	არჩევითი პროფესიული მოდული	162.00
87	გაცნობითი პრაქტიკა - ღონისძიების დიზაინერი	0210501	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
88	საწარმოო პრაქტიკა - ღონისძიების დიზაინერი	0210502	სავალდებულო პროფესიული მოდული	160.00
89	პრაქტიკული პროექტი ღონისძიების დიზაინერისთვის- ღონისძიების დაგეგმვა	0210503	სავალდებულო პროფესიული მოდული	27.00
90	ტექნიკური რესურსების დადგენა	0210504	სავალდებულო პროფესიული მოდული	52.00
91	ღონისძიების პროექტირება	0210505	სავალდებულო პროფესიული მოდული	64.00
92	ივენტ მარკეტინგი	0210506	სავალდებულო პროფესიული მოდული	36.00
93	ვიზუალური კონცეფცია	0210507	სავალდებულო პროფესიული მოდული	60.00



94	ესკიზების შექმნა	0210508	სავალდებულო პროფესიული მოდული	73.00
95	ღონისძიების გაფორმება და დიზაინი	0210509	სავალდებულო პროფესიული მოდული	81.00
96	ქორწილების დაგეგმვა	0210510	სავალდებულო პროფესიული მოდული	47.00
97	სპორტული, სანახაობრივი და ბიზნესღონისძიებების დაგეგმვა	0210511	არჩევითი პროფესიული მოდული	43.00
98	მომხმარებელთან ურთიერთობა	0210512	სავალდებულო პროფესიული მოდული	37.00
99	პრეზენტაციის ტექნიკა	0210513	არჩევითი პროფესიული მოდული	34.00
100	ჯვრულით ქარგვა	0210907	სავალდებულო პროფესიული მოდული	1145.00
101	ნაქარგობის ტექნოლოგიური დამუშავება	0210912	სავალდებულო პროფესიული მოდული	384.00
102	უცხოური ენა	0230101	ზოგადი სავალდებულო მოდული	59.00
103	უცხოური ენა	0230102	ზოგადი სავალდებულო მოდული	68.00
104	გაცნობითი პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორი	0320101	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
105	საწარმოო პრაქტიკა - ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორი	0320102	სავალდებულო პროფესიული მოდული	124.00
106	პრაქტიკული პროექტი ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორისათვის – ბეჭდური ან მულტიმედია პროდუქტის მომზადება-ატვირთვა ვებგვერდზე/ბლოგზე/სოციალურ ქსელებში	0320103	სავალდებულო პროფესიული მოდული	63.00
107	ახალი ამბების წარმოება	0320104	სავალდებულო პროფესიული მოდული	31.00
			სავალდებულო	



108	ინფორმაციის მოძიების ტექნიკა	0320105	პროფესიული მოდული	26.00
109	წერილობით ტექსტთან მუშაობა	0320106	სავალდებულო პროფესიული მოდული	53.00
110	ფოტოსაქმე	0320107	სავალდებულო პროფესიული მოდული	52.00
111	ვიდეომასალაზე მუშაობა	0320108	სავალდებულო პროფესიული მოდული	40.00
112	ახალი მედია	0320109	სავალდებულო პროფესიული მოდული	40.00
113	პროფესიული ეთიკის დაცვა	0320110	სავალდებულო პროფესიული მოდული	49.00
114	პროფესიული უსაფრთხოების დაცვა	0320111	სავალდებულო პროფესიული მოდული	22.00
115	კანონმდებლობა რეპორტიორისათვის	0320112	სავალდებულო პროფესიული მოდული	38.00
116	სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა	0320113	სავალდებულო პროფესიული მოდული	22.00
117	ინგლისური ენა - (B1+/ B2) ბეჭდური და ონლაინგამოცემების რეპორტიორისათვის	0320114	სავალდებულო პროფესიული მოდული	76.00
118	კომუნიკაცია 2	0320115	სავალდებულო პროფესიული მოდული	19.00
119	არჩევნების გაშუქება	0320116	არჩევითი პროფესიული მოდული	31.00
120	ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების გაშუქება	0320117	არჩევითი პროფესიული მოდული	38.00
121	სპორტის გაშუქება	0320118	არჩევითი პროფესიული მოდული	31.00
122	განათლების საკითხების გაშუქება	0320119	არჩევითი პროფესიული მოდული	31.00



123	გარემოსდაცვითი საკითხების გაშუქება	0320120	არჩევითი პროფესიული მოდული	31.00
124	გაცნობითი პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	0320201	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
125	საწარმოო პრაქტიკა - ბიბლიოთეკარი	0320202	სავალდებულო პროფესიული მოდული	160.00
126	პრაქტიკული პროექტი ბიბლიოთეკარისთვის - საბიბლიოთეკო მომსახურება და საბიბლიოთეკო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	0320203	სავალდებულო პროფესიული მოდული	27.00
127	საბიბლიოთეკო სივრცის ორგანიზება	0320204	სავალდებულო პროფესიული მოდული	36.00
128	ფონდის დაკომპლექტება	0320205	სავალდებულო პროფესიული მოდული	69.00
129	ფონდის მართვა	0320206	სავალდებულო პროფესიული მოდული	127.00
130	ფონდის დაცვა	0320207	სავალდებულო პროფესიული მოდული	105.00
131	საცნობარო-საინფორმაციო მუშაობა	0320208	სავალდებულო პროფესიული მოდული	121.00
132	საბიბლიოთეკო მომსახურება	0320209	სავალდებულო პროფესიული მოდული	102.00
133	კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები	0320210	სავალდებულო პროფესიული მოდული	97.00
134	რუსული ენა	0320211	არჩევითი პროფესიული მოდული	55.00
135	ინტელექტუალური თავისუფლება ბიბლიოთეკებში	0320212	არჩევითი პროფესიული მოდული	32.00
136	საბიბლიოთეკო მარკეტინგი	0320213	არჩევითი პროფესიული მოდული	33.00
137	მეწარმეობა	0410001	ზოგადი სავალდებულო	42.00



			მოდული	
138	მეწარმეობა	0410002	ზოგადი სავალდებულო მოდული	53.00
139	გაცნობითი პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი	0410101	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
140	საწარმოო პრაქტიკა - ოფისის მენეჯერი	0410102	სავალდებულო პროფესიული მოდული	93.00
141	პრაქტიკული პროექტი ოფისის მენეჯერისათვის - ღონისძიების დაგეგმვა და ბიუჯეტირება	0410103	სავალდებულო პროფესიული მოდული	20.00
142	ადმინისტრაციული ასისტირება	0410104	სავალდებულო პროფესიული მოდული	58.00
143	კორესპონდენციის ორგანიზება	0410105	სავალდებულო პროფესიული მოდული	61.00
144	მონაცემთა ბაზებთან მუშაობა	0410106	სავალდებულო პროფესიული მოდული	51.00
145	საარქივო საქმის ორგანიზება	0410107	სავალდებულო პროფესიული მოდული	78.00
146	საგანმკარგულებო დოკუმენტების წარმოება	0410108	სავალდებულო პროფესიული მოდული	55.00
147	საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა	0410109	სავალდებულო პროფესიული მოდული	33.00
148	საწესდებო დოკუმენტების წარმოება	0410110	სავალდებულო პროფესიული მოდული	41.00
149	ღონისძიებების ორგანიზება და საპროტოკოლო მომსახურება	0410111	სავალდებულო პროფესიული მოდული	57.00
150	საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა	0410112	სავალდებულო პროფესიული მოდული	23.00
151	პერსონალის საქმიანობის ორგანიზება და საკადრო საქმისწარმოება	0410113	სავალდებულო პროფესიული მოდული	33.00



152	საინფორმაციო და საადმინისტრაციო დოკუმენტების წარმოება	0410114	სავალდებულო პროფესიული მოდული	32.00
153	პროფესიული ეთიკის და ეტიკეტის ნორმების დაცვა	0410115	სავალდებულო პროფესიული მოდული	18.00
154	ნორმატიულ აქტებთან მუშაობა	0410116	სავალდებულო პროფესიული მოდული	22.00
155	გაცნობითი პრაქტიკა - შემფასებელი	0410201	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
156	საწარმოო პრაქტიკა - შემფასებელი	0410202	სავალდებულო პროფესიული მოდული	124.00
157	პრაქტიკული პროექტი შემფასებლისათვის - შესაფასებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის დადგენის საფუძველზე მისი საბოლოო ღირებულების განსაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით და შესაბამისი საშემფასებლო დასკვნის მომზადება	0410203	სავალდებულო პროფესიული მოდული	26.00
158	შესაფასებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა	0410204	სავალდებულო პროფესიული მოდული	81.00
159	შეფასების დავალების განსაზღვრა	0410205	სავალდებულო პროფესიული მოდული	101.00
160	შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება	0410206	სავალდებულო პროფესიული მოდული	70.00
161	შესაფასებელი ქონების გარე ექსპერტიზა	0410207	სავალდებულო პროფესიული მოდული	58.00
162	შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება (საბაზრო მეთოდი)	0410208	სავალდებულო პროფესიული მოდული	68.00
163	შესაფასებელი ქონების ინფორმაციის ანალიზი (საბაზრო)	0410209	სავალდებულო პროფესიული მოდული	77.00
164	შეფასების საბაზრო მეთოდი	0410210	სავალდებულო პროფესიული მოდული	76.00
165	შეფასების დანახარჯების მეთოდი	0410211	სავალდებულო პროფესიული მოდული	76.00



166	შეფასების მათემატიკა	0410212	სავალდებულო პროფესიული მოდული	77.00
167	შეფასების შემოსავლების მეთოდი	0410213	სავალდებულო პროფესიული მოდული	76.00
168	შესაფასებელი ქონების საბოლოო ღირებულების დადგენა	0410214	სავალდებულო პროფესიული მოდული	75.00
169	საშემფასებლო დასკვნის მომზადება	0410215	სავალდებულო პროფესიული მოდული	101.00
170	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	0410216	არჩევითი პროფესიული მოდული	71.00
171	რისკები და ინფლაცია	0410217	არჩევითი პროფესიული მოდული	56.00
172	საწარმოს (ბიზნესის) ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება	0410218	არჩევითი პროფესიული მოდული	80.00
173	გაცნობითი პრაქტიკა - საბაჟო საქმის სპეციალისტი	0410301	სავალდებულო პროფესიული მოდული	29.00
174	საწარმოო პრაქტიკა - საბაჟო საქმის სპეციალისტი	0410302	სავალდებულო პროფესიული მოდული	124.00
175	პრაქტიკული პროექტი საბაჟო საქმის სპეციალისტისათვის- საბაჟო კონტროლი, საბაჟო ზედამხედველობა, საბაჟო გაფორმება და სამართალდარღვევის საქმის წარმოება	0410303	სავალდებულო პროფესიული მოდული	110.00
176	საბაჟო საქმის სპეციალისტის სამუშაოს ორგანიზება	0410304	სავალდებულო პროფესიული მოდული	28.00
177	კონსულტაცია საბაჟო საკითხებზე	0410305	სავალდებულო პროფესიული მოდული	46.00
178	ფიზიკური პირის კონტროლი	0410306	სავალდებულო პროფესიული მოდული	70.00
179	სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი	0410307	სავალდებულო პროფესიული მოდული	93.00
180	საბაჟო დოკუმენტაცია	0410308	სავალდებულო პროფესიული მოდული	61.00



181	საბაჟო ზედამხედველობა	0410309	სავალდებულო პროფესიული მოდული	130.00
182	საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სესენ)	0410310	სავალდებულო პროფესიული მოდული	57.00
183	საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა	0410311	სავალდებულო პროფესიული მოდული	60.00
184	საბაჟო ღირებულების განსაზღვრა	0410312	სავალდებულო პროფესიული მოდული	73.00
185	საბაჟო გადასახდელები	0410313	სავალდებულო პროფესიული მოდული	56.00
186	საბაჟო დეკლარირება	0410314	სავალდებულო პროფესიული მოდული	93.00
187	საბაჟო გაფორმება	0410315	სავალდებულო პროფესიული მოდული	69.00
188	საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება	0410316	სავალდებულო პროფესიული მოდული	73.00
189	სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი	0410317	სავალდებულო პროფესიული მოდული	61.00
190	ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლი	0410318	სავალდებულო პროფესიული მოდული	76.00
191	სპეციალური კონტროლი	0410319	სავალდებულო პროფესიული მოდული	67.00
192	საბაჟო საწყობი	0410320	არჩევითი პროფესიული მოდული	38.00
193	საქონლის რეექსპორტი	0410321	არჩევითი პროფესიული მოდული	25.00
194	უბაჟო ვაჭრობა	0410322	არჩევითი პროფესიული მოდული	49.00
			არჩევითი	



195	საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება	0410323	პროფესიული მოდული	33.00
